თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 13

ქ. თერჯოლა 1 ნოემბერი 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. კობა კაცაძე, 4. ჯემალი ისაკაძე, 5. შალვა ჭანკვეტაძე, 6. გოჩა ვერულაშვილი, 7. მერაბი ბასილაძე, 8. ივანე ჩუბინიძე, 9. როლანდი მესხი, 10. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. თერმურ ქოჩიაშვილი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურთ - უსასყიდლოდ გადაცემის 2022-2023 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი №28-282230150, 28.10.2022 წ.).

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურთ - უსასყიდლოდ გადაცემის 2022-2023 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - მუნიციპალიტეტს საკუთრებაში აქვს საშეშე მერქანი, რომელიც მიღებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვადასხვა საჭიროების გამო (ძირითადად გამხმარი და საფრთხის შემცველი) მოჭრილი/გადაბელილი ხე-მცენარეებისაგან. ასევე, წინა წლების სჭიროებების გათვალისწინებით, მერიის მიერ იგეგმება 500 $მ^3$ საშეშე მერქანის შეძენა, რომელიც გადაეცემა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს.

აზრი გამოთქვეს: ბიძინა ბუცხრიკიძემ, ჯემალ ისაკაძემ, როლანდი მესხმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშუშე მერქნის ნატურთ - უსასყიდლოდ გადაცემის 2022-2023 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი №28-282230150, 28.10.2022 წ.).

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე